სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/34 15-04- 2021 წ. 357

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 13 აპრილის №01-04/32 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

I. შეტანილ იქნას ცვლილება უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 13 აპრილის №01-04/33 ბრძანებაში საგაზაფხულო სემესტრში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის, დოქტორანტურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური საგამოცდო პროცესის დისტანციური, ცენტრალიზებული წესით ჩატარების შესახებ და ამ ბრძანების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

3.განსაკუთრებულ შემთხვევებში, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭოსა და ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, საიჟინრო - ტექნიკურ ფაკულტეტზე (კომპიუტერულ გრაფიკაში და საამშენებლო ხაზვაში) და აგრარულ ფაკულტეტზე (ფიზიკაში, მათემატიკაში) შუალედური გამოცდები ჩატარდეს საუნივერსიტეტო სივრცეში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის საგამოცდო სექტორის (ასოც. პროფ. ლ. ზივზივაძე, დ.ხუსკივაძე) ორგანიზებითა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის (№ 699) დადგენილების მე-3 მუხლისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის ბრძანებით (№ 159323) გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

II. უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა საიჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანატში.

III. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.

IV. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ.

საფუძველი: საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის ფაკულტეტის დეკანის პროფ. მაია გრძელიძის სამსახურებრივი ბარათი.

რექტორი პროფ. რ. კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი: იმერი ბასილაძე